ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტი

# საგადახდო მოთხოვნა #00080

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 06 02 02 | დასახელება | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | | |
| ვალდებულების # | 0035 | მოთხოვნის საფუძველი | მიღება-ჩაბარების აქტი; 510; 06/12/2016 | 0 | |
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 33.1.8 | თანხა ლარებში | 3,400.00 | თანხა სიტყვით | სამი ათას ოთხასი ლარი |
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | 212721170 | | |
| დასახელება | თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი | | | | |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | | | 412696970 | | |
| დასახელება | ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ ახალგაზრდული ცენტრი | | | | |
| მიმღების ბანკის კოდი | | | TBCBGE22 | | |
| დასახელება | ქ.თბილისი, სს "თიბისი ბანკის" სათაო ბანკი | | | | |
| ანგარიშის # | GE52TB7809036020100001 | | საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | | |
| გადახდის დანიშნულება | 33.1.8.1-სხვა კრედიტორული დავალიანებები; სხვა - კულტურული ღონისძიების ხარჯი. წინა წლის N785 ვალდებულებაში დარჩენილი თანხის ანაზღაურება | | | | |

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | მარინე დარსაძე | 13/01/2017 12:48 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | ცირა ხარატიშვილი | 13/01/2017 13:35 |
| *მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:* | ცირა ხარატიშვილი | 13/01/2017 13:36 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:* | ირაკლი ავალიანი | 13/01/2017 13:42 |
| *მოთხოვნის მიღება:* | ლალი ჩუბინიძე | 13/01/2017 15:11 |
| *ბანკში გაიგზავნა:* | | 13/01/2017 15:29 |

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა GEORGIA STATE TREASURY 1995

13/01/2017

ტრანზაქცია განხორციელებულია

ვადასტურებ:
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე:
კონსტანტინე ქავთარაძე

ვამტკიცებ:
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე:
ნოდარ მალაშვილი

## შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი #510

ქ.ქუთაისი

6 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჯულელი და მეორეს მხრივ, ააიპ „ქუთაისის კულტურულ ახალგაზრდული ცენტრი“ (დირექტორი ნატალია პატარიძე), ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ააიპ „ქუთაისის კულტურულ ახალგაზრდული ცენტრმა“ (დირექტორი ნატალია პატარიძე), მ/წლის 1 დეკემბერს, თიბისი გალერეაში, უზრუნველყო საერთაშორისო ფოტოკონკურს „ილოს“ ორგანიზება. მომსახურების ღირებულება 2016 წლის 28 ნოემბრის #457 ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენს 3400 ლარს.

ორივე მხარის მიერ სრულად იქნა შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

შემსყიდველი:
ვაჟა ჯულელი
სამსახურის უფროსი

შემსრულებელი:
ნატალია პატარიძე
დირექტორი

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №457

ქალაქი ქუთაისი

28 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ,
**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია**
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის,
**შოთა მურღულიას** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: 0(431)-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
**(შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ, ა.(ა.)ი.პ. ქუთაისის კულტურულ ახალგაზრდული ცენტრი,
მისი დირექტორის **ნატალია პატარიძის** სახით,
მისამართი: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ. №27/42
საინდიფიკაციო კოდი: №412 696 970
საბანკო რეკვიზიტი: ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE52TB 78090 36020 100001
**(შემდგომში მიმწოდებელი)**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად. (წერილი №13814-01 17.11.2016წ.)

## 1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 საერთაშორისო ფოტოკონკურს ,,ილო"-ს ორგანიზება.
1.2 ფასების ცხრილი თან ერთვის და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.3 კლასიფიკატორის კოდი – 79952100.
1.4 გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული SMP160002959

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 3400 (სამი ათას ოთხასი) ლარს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
3.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია --------------

ა.(ა.)ი.პ. ქუთაისის კულტურულ ახალგაზრდული ცენტრი--------------

3.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.
3.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო ფოტოკონკურს ,,ილო"-ს ორგანიზება ქ. ქუთაისში დავით აღმაშენებლის მოედანზე მდებარე TBC გალერეაში 2016 წლის 1 დეკემბერს.
4.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს ფოტოკონკურსში გამარჯვებულებისათვის პრიზებისა და სიგელების დამზადება და მიწოდება (ქანდაკების და სიგელების ესკიზები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან), დაჩარჩოებული სურათების მიწოდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში (რუსთაველის გამზ. №3), გამოფენისთვის ფოტოების დაბეჭდვა, პასპარტუების დამზადება, დასკვნითი გამოფენისთვის ალა ფურშეტის მოწყობა და ფოტოკონკურსის დასკვნითი გამოფენისთვის გამოყოფილი სივრცის ვინტაჟური ფოტოსტუდიის სტილში მოწყობა, სადაც განთავსდება ძველებური ფოტოაპარატი, სოფიტები და გადასაღები ობიექტისთვის განკუთვნილი სავარძელი. დასკვნითი გამოფენისთვის უნდა დაიდგას მცირე პერფომანსი პანტომიმის მსახიობთა მონაწილეობით (პერფომანსის შინაარსის შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან).

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 ,,შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
5.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მომსახურების დასახელება და ღირებულება.
5.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;
ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;
6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.
6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერია ------------

ა.(ა.)ი.პ. ქუთაისის კულტურული
ახალგაზრდული ცენტრი------------

მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
7.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

**დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:**

10.3 თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს მომსახურების გაწევის ვადას, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" გადაიხდის 1700 (ერთი ათას შვიდასი) ლარი.
10.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერია ------

ა.(ა.)ი.პ. ქუთაისის კულტურულ
ახალგაზრდული ცენტრი------

10.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

11.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერია ----------------

ა.(ა.)ი.პ. ქუთაისის კულტურულ

ახალგაზრდული ცენტრი ----------------

## ფასების ცხრილი

| № | დასახელება | მახასიათებელი | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | სულ ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ილოს გამოსახულებიანი ქანდაკება | სიმაღლე 10 სმ; მასალა – ტერაკოტა, მწვანე მარმარილოს სადგამი – 7 სმ. X 7 სმ. | 1 (ცალი) | 371 | 371 |
| 2. | მცირე ზომის ფოტოაპარატის ქანდაკება | სიმაღლე 10 სმ. მასალა – მოოქროვილი ლატუნი, მწვანე მარმარილოს სადგამი – 7 სმ X 7 სმ | 1 (ცალი) | 300 | 300 |
| 3. | მცირე ზომის ფოტოაპარატის ქანდაკება | სიმაღლე 10 სმ. მასალა – დურალი, მწვანე მარმარილოს სადგამი – 7 სმ X 7 სმ | 1 (ცალი) | 200 | 200 |
| 4. | მცირე ზომის ფოტოაპარატის ქანდაკება | სიმაღლე 10 სმ. მასალა – თითბერი, მწვანე მარმარილოს სადგამი – 7 სმ X 7 სმ | 1 (ცალი) | 200 | 200 |
| 5. | პერფომანსი | პერფომანსის შინაარსი შემსყიდველთან შეთანხმებით | - | 200 | 200 |
| 6. | ფოტოების ბეჭდვა | A4 ფორმატი; მაღალი ხარისხის; 180 გრამიან ფოტოქაღალდზე | 50 (ცალი) | 10 | 500 |
| 7. | სურათების დაჩარჩოება | 40 სურათის ჩასმა უკვე არსებულ, შემსყიდველის მიერ მიწოდებულ ჩარჩოებში; 10 ცალი პასპარტუს ზომა 43,5X33,5სმ. - შავი ფერის ჩარჩო; სიგანე -2,5 სმ; პასპარტუების და ჩარჩოების ნიმუშები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან | 10 (ცალი) | 30 | 300 |
| 8. | მინა | ორ მილიმეტრიანი; 43,5X33,5 სმ. | 10 (ცალი) | 10 | 100 |
| 9. | დიპლომი | A4, ქაღალდი - ტილო 250 გრ. ფერადი ბეჭდვა | 60 (ცალი) | 6 | 360 |
| 10. | ალაფურშეტი | მაღალი ხარისხის თეთრი ღვინო, 750 მილიგრამიანი ქარხნული შეფუთვით | 10 (ბოთლი) | 15 | 150 |
| | | ტორტი ფოტოკონკურსის ლოგოს გამოსახულებით; ზომა 50x45 სმ. | 1 (ცალი) | 200 | 200 |
| | | პატარა ხის შამფურზე აგებული ჰოლანდიური ყველი, მწვანე ზეთისხილი და შავი ზეთისხილი, არანაკლებ 200 გრამი | 100 (ცალი) | 2.5 | 250 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მცირე ზომის ბუტერბროდი ჩალაღაჯით და ჰოლანდიური ყველით, არანაკლებ 300 გრამი | 60 (ცალი) | 1.5 | 90 |
| | | მცირე ზომის მჭადებზე განთავსებული ფხალის ასორტი (ბადრიჯანი, ისპანახი, წითელი ფხალი), არანაკლებ 200 გრამი | 60 (ცალი) | 1.5 | 90 |
| | | მინერალური წყალი 0,5 ლიტრიანი ქარხნული შეფუთვით | 15 (ცალი) | 1 | 15 |
| | | ნატურალური წვენების ასორტი 2 ლიტრიანი ქარხნული შეფუთვით | 6 (ცალი) | 4 | 24 |
| | | ფურშეტის შესაბამისი ერთჯერადი ჭურჭელი (ჭიქები, თეფშები, ჩანგლები) | - | 0.5 | 50 |
| სულ ჯამი 3400 | | | | | |